საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 238

ხუთშაბათი, [illegible]

1922

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონარქიული მოძრაობა და მუშათა მთავრობა

ივნისის თვე გერმანიაში მონარქისტული დემონსტრაციებით ჩატარდა, რასაც მოყვა მუშათა კონტრ-დემონსტრაციები. ამ დემონსტრაციებმა გამოაშკარავეს გერმანიაში არსებულ ძალთა განწყობილება და ის სულისკვეთება, რომლითაც იკვებებიან მომქმედი პოლიტიკური ჯგუფები.

გერმანია თავისი შინაური და საგარეო მდგომარეობის მიხედვით განსაკუთრებულს მდგომარეობაშია. საერთაშორისო ომის პროცესში გერმანიის იმპერიალიზმმა საშინელი დამარცხება განიცადა და იგი სავსებით დაემორჩილა გამარჯვებულ ანტანტის სურვილებს. გაუმაძღარმა იმპერიალიზმმა საშინელს ეკონომიურსა და პოლიტიკურს პირობებში ჩააყენა გერმანიის ხალხი. მოკავშირეთა მიერ გაწერილი გადასახადი 132 მილიარდ მარკას უდრის ოქროთი; ეს გადასახადი მძიმე ლოდად აწევს გერმანიის ეკონომიური ცხოვრების წარმატებას და არ აძლევს მას საშუალებას. გერმანია დღეს პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც დამონებული, ყავს ანტანტას და მრავალ მილიონიანი ერი საშინელს შევიწროებას განიცდის მოკავშირეების მხრივ.

გერმანიის ასეთმა საერთაშორისო მდგომარეობამ ხელი შეუწყო იმ დიდ მოძრაობების განვითარებას, რომელნიც განიცადა ამ სახელმწიფომ ამ ოთხიოდე წლის განმავლობაში.

გერმანიის შინაური ცხოვრება დაინგრა, მონარქიზმი დაეცა 1918 წლის რევოლიუციური მოძრაობით და მის შემდეგ გერმანია ვერ ღირსა დამშვიდებულ ცხოვრებას. 1919 წელში დიდმა მუშათა მოძრაობამ იჩინა თავი და პროლეტარიატმა პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა ამ წელში. ამ მოძრაობის შედეგი იყო ის, რომ გერმანიის რამოდენიმე მხარეში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და მუშათა გამოსვლებმა ფართო ხასიათი მიიღეს. მაგრამ მენშევიკების ღალატმა და მათმა პოლიტიკურმა ბლოკმა ბურჟუაზიასთან ეს მოძრაობა ჩაახშო და პოლიტიკური ძალა-უფლება კაპიტალისტების ჩაუვარდათ ხელში. გერმანიის მენშევიკური პარტია ენერგიულად იცავდა ბურჟუაზიულ წყობილებასა და მათის დახმარებით განადგურებული იქმნა მრავალი მუშათა ორგანიზაციები..

სოც.-დემ. ნოსკის ავაზაკურმა მოქმედებამ მუშათა კლასს ხელიდან გამოაცალა მისი საუკეთესო ბელადები როზა ლიუქსემბურგის, კ. ლიბკნეხტის, ლევინის და სხვა მრავალ ცნობილ მებრძოლთა ჯალათური დახოცვით და ამ გვარ მეთოდით შესაძლებელი შეიქმნა რევოლიუციის განადგურება. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, მუშათა მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა და დრო გამოშვებით სხვა და სხვა სახითა და ფორმით იგი კვლავ თავს ხეთქავდა ხოლმე გერმანიაში. ამ მხრივ აღსანიშნავი არის 1921 წლის რევოლიუციონური გამოსვლები, რომელსაც მეთაურობდა კომუნისტური პარტია. ამ გამოსვლამ ერთგვარი „პუჩიზმის“ სახე მიიღო და არ იყო წინასწარად მომზადებული, სამაგიეროდ მან შესაფერისი გავლენა იქონია მუშათა ორგანიზაციებზე და მიუთითა მის შეცდარ ნაბიჯებზედ.

საერთაშორისო ომის დამთავრების შემდეგ, გერმანია ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდა მუშათა მოძრაობისათვის პროლეტარიატის რაზმების მთელი რიგში გაცხარებით იბრძოდნენ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად და საბჭოთა სისტემის დასამყარებლად. ამ ხანებში რევოლიუციონური ენტუზიაზმი მუშათა წრეებში უმაღლესს ხარისხს აღწევდა გერმანიაში და ამ განწყობილებამ თავისი შესაფერისი გავლენა იქონია გერმანიის ისტორიაში. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მუშათა რევოლიუციონური გამოსვლები ჩაქრობილ იქმნა მოწინააღმდეგეთა მიერ. ამ ავაზაკურს საქმეში გერმანიის სოც.-დემ. სწორეთ ისტორიული როლი ითამაშა, მათ მოგვცეს ღალატის ისტორიული მეთოდები. სოც.-დემ.-იამ გეთიშა მუშათა წრეები და მასი შემადგენელი ნაწილები ერთი მეორეს დაუპირისპირა იარაღით ხელში. ამ გარემოებამ მოგვცა ის შედეგები, რომ მუშათა ორგანიზაციები შესუსტდა გერმანიაში და მთელი ძალა-უფლება ბურჟუაზიამ ჩაიბარა.

მაგრამ გერმანია არ წარმოადგენდა მარტო მუშათა მოძრაობის სარბიელს და მონარქიული ძალები განადგურებულნი იყვნენ და ისინიც მომენტს ეძებდნენ შესაფერისი გამოსვლებისათვის. გერმანიაში მონარქიზმსა და იმპერიალიზმს ძლიერ დიდად ქონდა ფესვები გადგმული ცხოვრებაში ამ ნიადაგზედ აღმოცენდა და საუკუნეთა განმავლობაში განმტკიცდა მაგარი მონარქიული ორგანიზაცია და სამხედრო ძალები, რომელთა დაშლა და განადგურება არც ისეთი ადვილი საქმე იყო. ჰოჰენცოლერნთა დინასტიამ მაგარი მონარქიული ორგანიზაცია გამოსჭედა გერმანიაში და მისი აღმოფხვრა ვერ შესძლო ბურჟუაზიის პალიატიურმა ზომებმა. მართალია 1918 წლის რევოლიუციამ 24 მეფე ჩამოაგდო გერმანიაში ტახტიდან, მაგრამ მათი ძალა და გავლენა არ იყო შესაფერისი მეთოდებით აღმოფხვრილი. მენშევიკებისა და კაპიტალისტების კოალიციონურმა მთავრობამ მონარქისტული ძალების გასანადგურებლად არავითარს ზომებს არ მიმართა. მაშინ როდესაც სისტემატიურად ხდებოდა მუშათა ორგანიზაციების განადგურება და მათი საუკეთესო ხელმძღვანელებით გერმანიის ციხეების ავსება, მონარქისტებს თავისუფალი მოქმედების სარბიელი ჰქონდა გადაშლილი და მათი შავრაზმული ორგანიზაცია „ორგეში“ ფართო მონარქიულ სხეულს აწყობდა მთელს გერმანიაში. როგორც ვიცით, 1920 წელში მონარქისტებმა სცადეს ძალაუფლების ხელში ჩაგდება და კაპის ცნობილი გამოსვლა მოაწყეს, რომელიც დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ დასჯით კი არც ერთი მეთაური არ დაუსჯიათ. ასეთი გამოსვლებისათვის გერმანიის მუშათა კლასმა რამოდენიმე ათეული ათასი საუკეთესო მებრძოლები დაჰკარგა ციხეებსა კატორღაში. მონარქისტებმა კი მხოლოდ შენიშვნა მიიღეს. ეს გარემოება ნათლად აშკარავებს გერმანიის მთავრობის პოლიტიკასა და მის შეცდარ ნაბიჯებს.

მეორეს მხრით აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ გერმანიის ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ არ დაამსხვრია, არ გაანადგურა მონარქიული წყობილების სახელმწიფოებრივი აპარატი. ჯარში, სახელმწიფო სამსახურში, სასამართლოში, პოლიციაში ყველგან დარჩნენ ძველი მონარქიული ჩინოვნიკები, სახელმწიფოს აპარატი არ იყო გაწმენდილი მავნე ბაცილებისაგან, ამიტომ მონარქისტებს დიდი ნიადაგი ჰქონდა მოღვაწეობისათვის. გერმანიის იმპერიალიზმის საუკეთესო მხედრები რესპუბლიკის დროსაც თავისუფლად განაგებდნენ სამხედრო საქმეებს და თავისუფლადვე ამზადებდნენ ნიადაგს მონარქიული რესტავრაციისათვის.

გერმანიის პირობები დაუყოვნებლივ მოითხოვდა მონარქიულ სახელმწიფო აპარატის ძირიან-ფესვიანად დარღვევას და მის ადგილას ახალის აგებას, ახალი ძალებისა და შინაარსით. გერმანიის ბურჟუაზიულმა მთავრობამ მხოლოდ გარეგნულად შეაკეთა ეს აპარატი და მისი ძირითადი კონსტრუქცია ხელუხლებელი დასტოვა, ამ მდგომარეობამ თავისი დაღი დააჩნია გერმანიის მეთაურებს და გააძლიერა მონარქისტთა გავლენა.

ამ გვარად გერმანიის რევოლიუციამ მეტად მნიშვნელოვანი მომენტები განვლო. მთავრობის პოლიტიკამ ისეთი პირობები შექმნა და იმდენად შეუწყო ხელი მონარქიულ მოძრაობას, რომ მან ბოლოს აქტიურად გამოხეთქა, რაც უკანასკნელი თვის ამბებით მტკიცდება; გერმანიაში მონარქია არ არსებობს, მაგრამ მონარქიზმის აღსადგენად დიდი ნიადაგი არის შექმნილი: ყოფილ იუნკერებსა და გენერლებს, რომელნიც თავის თავად დათარეშობდნენ გერმანიაში საშუალება ეძლევათ ახალი ავანტიურა გამოიწვიონ და ქვეყანა ფაქტის წინაშე დააყენონ.

გერმანიაში მონარქიზმის ასეთი ფორმებით განვითარებაში დიდი დანაშაული მიუძღვის სოც.-დ. პარტიას, რომელიც მთელს თავის ენერგიას კომუნისტების განადგურებას ანდომებდა და მონარქისტებს ამ დროს სრული თავისუფლება ენიჭებოდათ მოქმედებისათვის.

ამ შეცდარმა ნაბიჯებმა თავისი ნაყოფი გამოიღო და დღეს გაბედულ მონარქიულ მოძრაობის წინაშე ვდგევართ. როგორც რადიო გადმოგვცემს, ბავარიის კრონპრინცმა უკვე თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. რასაკვირველია, ბავარია—ავანტიურისტი დიდი ხნით ვერ იარსებებს, მაგრამ ეს ფაქტი ღირსი არის აღნიშვნისა.

მონარქიულმა მოძრაობამ ერთი დიდი ნაყოფი გამოიღო: მან გამოაცოცხლა და გამოაფხიზლა მუშათა წრეები. მუშათა კლასმა შეიგნო, რომ ხსნა მხოლოდ მუშათა გაერთიანებულს ფრონტში არის. მონარქისტების შემოტევა ხდება არა მარტო რესპუბლიკის დასამხობად, არამედ მუშათა ორგანიზაციების გასანადგურებლად. ეს გარემოება იწვევს მუშათა კლასის დარაზმვას და მათს შეერთებულად კონტრ-შეტევისათვის მზადებას. გერმანიის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა სხვა სოციალისტურს პარტიებს გაერთიანებული ფრონტის შესაქმნელად. მემარჯვენე სოციალისტურმა პარტიებმა ყოყმანი დაიწყეს და არ სთქვეს გარკვეული სიტყვა იმ საგარეო ხმით; სამაგიეროდ მთელს რიგ ქალაქებსა და დაბებში მუშათა კლასმა, წინააღმდეგ მემარჯვენეების სურვილისა, მოაწყვეს ორგანიზაციები და გააერთიანეს თავიანთი ძალები კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს გარემოება ამართლებს იმ მოსაზრებებს, რომ გაერთიანებული ფრონტი შესაძლებელი არის მხოლოდ ფართო მუშათა წრეებში და მის პოლიტიკურ პარტიათა მასას წარმავალი ხასიათი აქვს.

მაგრამ გაერთიანებულ ფრონტის შექმნას მუშათა შორის თან მოყვა ამ ფრონტის შინაარსის გამოკვლევაც და გერმანიის პროლეტარიატმა მუშათა მთავრობის შექმნა მოითხოვა. დღევანდელს პირობებში ამ ლოზუნგით გამოსვლას და მისს გარშემო ფართო მასების შეკრებას დიდი რევოლიუციონური მნიშვნელობა აქვს. მუშათა მთავრობა გარდამავალ ფორმად უნდა შეიქმნეს გერმანიაში საბჭოთა სისტემის დამყარებისაკენ და ეს ლოზუნგი დიდი ხანია გადაისროლა ხალხში კომინტერნმა. ამ გვარად მონარქიულ მოძრაობის პროცესში თანდათან იზრდება შეგნება მუშათა კლასში და იგიც გაერთიანებულის პროგრამით გამოდის რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შავმა რეაქციამ—ამდენხანს დაქსაქსული წითელი ფრონტი გააერთიანა. ამ გაერთიანებას უნდა მოყვეს თავისი შესაფერისი შედეგები.

ხ. დევანი.

დამშეულთათვის

სიმშილის აჩრდილი კვლავ სდგას ჩვენს წინაშე. ეს საბედისწერო მოვლენა თავზე დასდგომია ჩვენს ხალხს და არ აძლევს გასაქანს. ამის გამო დაწესებულია ორკვირეული დამშეულთა დასახმარებლად. ორკვირეული დაიწყება 9 ივლისს, ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორია ჩვენი მოვალეობა ამ ორკვირეულის მიმართ.

უდიდესი საფრთხის წინაშე ვდგევართ. ქვეყანას ფიზიკური განადგურება ემუქრება. ამ საქმეში საჭიროა ერთსულოვანი მოქმედება, ყოველი მოქალაქის წვლილი, ყოველ ჩვენგანის მუშაობა და ენერგიული დახმარების გაწევა.

შესძლებს კი ქართველი ხალხი ამ საკითხში მაინც ერთსულოვნების გამოჩენას? ამოძრავდებიან მემარჯვენე პარტიები რაიმე დახმარებისათვის? ვფიქრობთ, რომ არა. ამის თავდებია გასული დახმარების შეკრებები, რომელშიაც „ბრძნული დუმილით“ მონაწილეობდა მემარჯვენეთა წრეები.

ეს ჩვენ სრულებით არ გვაკვირვებს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ ხალხმა დაკარგა არა მარტო რევოლიუციური ტრადიცია და სოციალისტური შეგნება, არამედ ზნეობრივი მოვალეობის გრძნობაც კი.

ეს გარემოება იმის დასურათხატებაა, რომ მშრომელთა ბედი სავსებით დამოკიდებულია საკუთარ ძალ-ღონეზე, საკუთარ ორგანიზაციაზედ და საკუთარ მოქმედებაზე. არც ერთი კლასი, არც ერთი წოდება და არც ერთი წრე არ ცდილობს დღეს დამშეულთა დახმარებისათვის, გარდა სახელმწიფოსა და მუშათა მასებისა, რომელსაც შეიძლება ხელი გაუწოდოს ზოგიერთმა პატიოსანმა მოქალაქემ.

რუსეთის დამშეულთა მდგომარეობა და ევროპის ფილანტროპიული ემოციები, რომელნიც ნულანსესა და მათი ჯურის ხალხს ნიშნავდა დამხმარე კომიტეტების თავმჯდომარეთ, აშკარა სურათია კიდევ და კიდევ იმ გარემოების, რომ კონტრ-რევოლიუციონური სამყარო, სულ ერთია მისი ეს წოდ. „სოციალისტური“ ნაწილი იქნება თუ ბურჟუაზიული, არ შეიძლება დაეხმაროს რევოლიუციის ქვეყანას.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დღევანდელ სიმშილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამას აქვს დღეს არა მარტო ხალხის ფიზიკური გადარჩენის მნიშვნელობა, არამედ დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობაც. ამიტომ მთელი ჩვენი ძალ-ღონე, ჩვენი ენერგია უნდა მოვახმაროთ დამშეულთა დახმარების საქმეს.

ჩვენ იმ ხალხის რიგებს ვეკუთვნით, რომლებსაც აქტიური მუშაობით სურთ ერისა და ხალხის სამსახური. ჩვენი წმიდა მოვალეობაა მით უფრო დამშეულთა დახმარების საქმეში გამოვიჩინოთ ყველაზედ მეტი თავგანწირულება.

პროვინციის ორგანიზაციებმა არგინიზაციებმა ადგილობრივად უნდა გამონახოს რაიმე საშუალებანი დამშეულთა დასახმარებლად: ორ კვირეულ ჩატარებაში არ უნდა გამორჩეს არც ერთი წევრი ჩვენი პარტიისა, რომელიც აქტიურად არ იმოქმედებს დახმარების შეკრების საქმისათვის.

ჩვენი ნაცარქექია ინტელიგენცია, რომელსაც ერის სიყვარული განვითარებული აქვს ენის წვერში და ხალხისადმი მოვალეობის გრძნობა ყელს ზევით, აქაც, დამშეულთა დახმარების საქმეში, ისე როგორც წინეთ, არც დღეს გამოდგება.

ჩვენ კი სრული უფლებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის ხალხი, რომელიც დამშეულთა დახმარების საქმეშიაც ბოიკოტს მიმართავს, მოღალატეა არა მარტო რევოლიუციისა და ერის, არამედ ადამიანური სინდისისა და ელემენტარი ზნეობის. ვისაც ოდნავად დარჩენია ქართველ გლეხისა და მუშისადმი სიყვარულის გრძნობა, ვისაც არ შეუძლია ჩვენი ქვეყნის ფიზიკური განადგურებისა და გადაგვარებისადმი გულგრილად ცქერა იგი მოვალეა უკანასკნელი წვლილი მიიტანოს იმ დიდი საქმისათვის, რომელსაც ეწოდება:—ჩვენი ხალხის გადარჩენა სიმშილით სიკვდილისაგან

ნარკვევი

რუსეთის ცნობის გარშემო.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ, რომ გენუას კონფერენციაზე მოწვევით ევროპის კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა არსებითად იცნეს საბჭოთა მთავრობა. დღეს თუ დავა არის და ამ გარემოებას ოფიციალურს სანქციას არ უწერებიან, ეს აიხსნება მით, რომ აღნიშნული ქვეყნები გაცხარებულ საჯარო ვაჭრობას აწარმოებენ საბჭოთა რუსეთთან სხვა და სხვა კითხვების შესახებ და ამ საქმეში მათ ერთ მთავარ კოზირად იურიდიულად ცნობის საკითხიც ადგებათ... გიცნობთ იმ შემთხვევაში, თუ ამას და ამაში დაგვეთანხმებით. — ეუბნებიან მოკავშირეები სხვა და სხვა დიპლომატიური კილოთი. ჯერ გვიცანით და მოგვეცით კრედიტი და შემდეგ მოვილაპარაკოთ ვალებისა და დაზარალებულ კერძო მესაკუთრეთა ანაზღაურების საკითხის შესახებ,—უპასუხებენ ბოლშევიკები“.. და ასე ამ ფორმითა და შინაარსით გაცხარებული ვაჭრობა სწარმოებს საბჭოთა რუსეთსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის. გენუაში ამ ვაჭრობამ ორმოცი დღეზე მეტი გასტანა, მაგრამ პრაქტიკული რეზულტატი ვერ მოგვცა. დღეს სავაჭრო ბაზარი ცნობილ ჰააგაში არის გადმოტანილი და, როგორც ირკვევა, იქ თავიდან იწყებენ ვაჭრობის ყველა პროცედურების გავლას.

მართალია, გენუამ ვერავითარი პრაქტიკული დასკვნა ვერ მოგვცა, მაგრამ მას დიდი შედეგი მოყვა საბჭოთა ფედერაციების სასარგებლოდ: ორმოცი დღის ვაჭრობამ საბჭოთა მთავრობის სიმტკიცე ყველას დაანახვა და თვით საბჭოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკების ფაქტმა ფართო საზოგადოებრივ წრეებში განამტკიცა წარმოდგენა რუსეთის ცნობის შესახებ.

მარტოვის „სოციალისტურ უწყების“ (№ 11) ფურცლებზე ცნობილი რუსეთის მენშევიკი ფ. დანი თავის წერილში („გენუას შედეგები“) ეხება ამ საკითხსა და სწერს:

„საბჭოთა დელეგაცია გენუაში გაემგზავრა ორიგ მიზნით: საბჭოთა მთავრობის ცნობის მიღწევა და მისთვის კრედიტების მიღება. რაც შეეხება პირველ ამოცანას, ის შეიძლება არსებითად შესრულებულად ჩავსთვალოთ. მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრები, არხიეპისკოპოსები, მეფეები ხელს ართმევდნენ ჩიჩერინს, ორმოცი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ისხდნენ მასთან, პატიჟებდნენ მას რაუტებსა და ბანკეტებზე, საკითხი „დეიურედ ცნობისა“ კარგავს თითქმის ყოველ გვარ მნიშვნელობას საბჭოთა მთავრობისათვის. ასეთს ცნობაში ყველაზე უწინ დაინტერესებულნი არიან ის ქვეყნები, რომელთა მოქალაქენი სდებენ თავიანთ კაპიტალს რუსეთის წარმოებაში, ან და რომ ლთა მთავრობანი მოისურვებდა და შეძლებაც ექნებოდა საბჭოთა მთავრობისათვის მიეცა კრედიტები...

ამ გვარად, წყეული კითხვა „ცნობის“ შესახებ, შეიძლება ითქვას, კეთილად მოიხსნა რიგიდან...

შემდეგ დანი აღნიშნავს, რომ ამ ფაქტიურ „ცნობასთან“ ერთად ბოლშევიკურმა მთავრობამ მიიღო დამატებითი საჩუქარი „არმისტისის“ სახით. მართალია ფორმალურად ეს „არმისტისი“ დაწესებული არ არის ოთხი თვით—სექტემბრის დამლევამდე, მაგრამ არსებითად ის უზრუნველყოფს მშვიდობიანობას საბჭოთა საზღვრებზე ერთი წლის განმავლობაში, რადგან შემოდგომის ბოლო რიცხვებში და ზამთარში ძვირად თუ ვინმეს ექნება ხალისი დაიწყოს სამხედრო მოქმედებანი“...

ამ გვარად, საბჭოთა სისტემისა და მუშურ-გლეხური ხელისუფლების ერთი შეურიგებელი პოლიტიკოსი—ცნობილი რუსეთის მენშევიკი დანი იძულებულია აღიაროს ის რეალური ფაქტი, რომ გენუას კონფერენციაზე დაწრებით საბჭოთა რუსეთის პრესტიჟი და ძალა განმტკიცდა საერთაშორისო პოლიტიკაში. გენუაზე საბჭოთა ფედერაციის მოწვევის ფაქტი თავისთავად [illegible] იმის შესახებ, რომ არსებული საბჭოთა მთავრობა ძალასა და ღირებულებას წარმოადგენს. რადგან კაპიტალისტური სახელმწიფოები მხოლოდ რეალურ ძალის მქონე მთავრობებს უწევენ ანგარიშსა და ასეთს შემთხვევაში ისინი მორალური პრინციპების საზომით არ გამოდიან. ევროპის ბურჟუაზიულმა პრესამ და ყველაზე უწინ საფრანგეთის ნაციონალისტური შეურიგებლობით გაქლენთილმა გაზეთებმა მენშევიკ დანზე უფრო ადრე აღნიშნეს ის, რასაც იგი ამტკიცებს შხამიანი სიტყვების „სოციალისტურ უწყების“ ფურცლებზე. ასე, რომ მან ამ მხრივ ვერაფერი ახალი ვერ სთქვა, მაგრამ დანს მრავალი მიმდევრები ყავს ჩვენში, ისინი არიან მისი პარტიული ამხანაგები წარსულში და

დღესაც დანის პოლიტიკის მომხრეები, —ქართველი მენშევიკები და მათი ამყოლი ჩვენი მემარჯვენე ჯგუფები. ამ ხალხს დანის მსჯელობა გამოადგება, რადგან მათ არ სჯეროდათ ის, რასაც ახლა ამტკიცებს მათი თანამებრძოლი.

საბჭოთა დელეგაციის მეორე მიზანს შეადგენდა სესხის მიღება. გენუამ ვერ მისცა კრედიტი საბჭოთა რუსეთს. ეს გარემოება ძლიერ ახარებს პ. დანსა და კომპანიას. დანი ვერ ითმენს; რომ ერთხელ კიდევ არ გაილაშქროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და დემაგოგიური დასკვნები არ გაუკეთოს ფაქტების ანალიზს:

„საბჭოთა მთავრობამ, ოთხი წლის თავისი უაზრო პოლიტიკის წყალობით, დაჰკარგა ყოველგვარი რევოლიუციონური პრესტიჟი; რუსეთის ბოლშევიკები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო სარბიელზე რევოლიუციონურ ფაქტორს: არაფერში ისე არ გამომჟღავნებულა თავისი საშინელი სინამდვილით ეს ფაქტი, როგორც იმ უარყოფითსა და ირონიულს დამოკიდებულებაში, რომელიც ხვდებოდნენ ყველა მათ რევოლიუციონურ ტირადებს გენუაში შეკრებილ საერთაშორისო ბურჟუაზიულ დიპლომატების წრეებში, და აგრეთვე იმ სინამდვილეში, რომლითაც ის დიპლომატებიც კი ამარცხებდნენ ბოლშევიკებს ყოველთვის, როდესაც ისინი (ბოლშევიკები) მოისურვებდნენ დამდგარიყვნენ პროლეტარიატის, დემოკრატიის, რევოლიუციის დამცველთა პოზაში"...

ნათქვამია, ისეთმა ფურმა ჩამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს მოიწველიდესო. დანი და მთელი მისი პარტიები ევროპაში ყოველთვის რეაქციონურს როლს თამაშობდნენ რევოლიუციონურს მოძრაობაში და ამ მხრივ მათი „ნაწველი" ვერ შეედრება, მათი აზრით, დამარცხებულ კომუნისტების მოვალეობას. საერთაშორისო მენშევიზმი დღეს საერთაშორისო რეაქციის ყავარჯენი არის და ასეთი შეგნებით გაჟღენთილ ადამიანს, ცხადია, არ შეუძლია სწორედ შეაფასოს საბჭოთა რუსეთის თანამედროვე რევოლიუციონური პოლიტიკა. მაგრამ ზნეობრივ სიკოტრესთან ერთად, დანი ლოღიკის გაუპატიურებასაც ფიქრობს; ბურჟუაზიამ საბ. მთავრობას არ მისცა სესხი, და ამიტომ უკანასკნელმა დაჰკარგა რევოლიუციონური პრესტიჟი; ასეთია დანის ლოღიკური არგუმენტაცია. მაგრამ ეს არგუმენტაცია ისევ კოჭლი არის, როგორც თვით მთელი პოლიტიკა მენშევიკებისა.

ესერების პროცესი

მოსკოვი 4 ივლისი. 3 ივლისის სხდომაზე, პატარა დისკუსიის შემდეგ; ტრიბუნალი ადგენს სამარის პერიოდის მოქმედების გამოძიება დამთავრებულად ჩასთვალოს და გადავიდეს შემდეგი, არხანგელსკის პერიოდის განხილვაზე.

პირველად ეკითხებიან მოწმე ოპესიონოვს, რომელიც ჩამოვიდა ვოლოგდაში 1918 წლის ივლისის ბოლო რიცხვებში და რომელიც შევიდა ესერების საგუბერნიო კომიტეტში. მაშინ პარტიულ მუშაობაში ვოლოგდაში სრული გახრწნილება სუფევდა. კომიტეტის თავმჯდომარე მასლოვი სავსებით ჩაეფლა „აღორძინების კავშირში". კომიტეტის მუშაობა შეწყდა. სამხედრო მუშაობა სწარმოებდა „აღორძინების კავშირში". ესერების პარტიული კომიტეტი მუშაობაში მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ამასთან არც თავის წევრებს უკრძალავდა აქტიური მონაწილეობის მიღებას. სამხედრო ორგანიზაცია აწყობდა რაზმებს და აგზავნიდა მათ არხანგელსკში და აგრეთვე ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას ვოლოგდაში, რომელიც უნდა მომხდარიყო არხანგელსკში დესანტის გადმოსხმის დროს. ეს გეგმა მოწონდა ესერების პარტიის საგუბერნიო კომიტეტს, რომელიც არ უკრძალავდა რა თავის წევრებს ამგვარ მუშაობას, თვითონ არ იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში, სამხედრო ორგანიზაციას დიდი თანხები ქონდა, რომელიც მას მიღებული ჰქონდა მოკავშირეთაგან. პარტიულმა კომიტეტმა დაადგინა სამხედრო ორგანიზაციიდან პარტიულ საჭიროებათათვის ფული არ მიეღო. სამხედრო ორგანიზაციამ შეიმუშავა არხანგელსკისაკენ მიმავალი გზის ხიდებისა და რკინის გზის ლიანდაგის აფეთქების გეგმა, რათა ამით ხელი შეეშალა წითელ არმიის წინსვლისათვის.

არხანგელსკის ფრონტის შექმნის შემდეგ, ვოლოგდაში ჩამოსული ჩერნოვი, კრებაზე მოუწოდებდა ამხანაგებს შეექმნათ გლეხების შეიარაღებული რაზმები საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად.

ბრალდებული იგნატიევი იძლევა ჩვენებას არხანგელსკის ამბების შესახებ. პეტროგრადში მიღებული იყო „აღორძინების კავშირის" ვოლოგდის განყოფილების მოთხოვნილება გაეგზავნათ ვოლოგდაში კანდიდატები არხანგელსკის მთავრობისათვის. ვოლოგდაში ჩასულმა იგნატიევმა გამოარკვია, რომ „აღორძინების კავშირის" სამხედრო ორგანიზაცია განცალკევებულია ესერების პარტიისაგან. არხანგელსკში იგნატიევი შეხვდა ჩაიკოვსკის, რომელიც მოკავშირეთა სარდლობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას არხანგელსკში დესანტის გადმოსხმის თაობაზე მოკავშირეები ყოყმანობდნენ და პირველ ყოვლისა მოითხოვდნენ აჯანყების დაწყებას. ჩაიკოვსკი კი წინააღმდეგს მოითხოვდა. იგნატიევი დაბრუნდა პეტროგრადში, სადაც გადაწყვეტილი იქნა სამხედრო მუშაობის ლიკვიდაცია და ყველა არსებულ ძალების ვოლოგდაში გადაგზავნა. პეტროგრადში იგნატიევმა ინახულა ლიხაჩი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ჩრდილოეთისაკენ ძალების გაგზავნას, ვინაიდან მას ისინი ესაჭიროებოდა სამხრეთისათვის და ვოლგისათვის. ვოლოგდაში მოელოდნენ მოკავშირეების წარმომადგენლებს არხანგელსკიდან. მაგრამ ეს იმედები გაცრუვდა. „აღორძინების კავშირმა" ვოლოგდაში გადაწყვიტა ემოქმედნა დამოუკიდებლად და დაიწყო ხელის შემშლელი მუშაობა, მაგრამ ამგვარი მუშაობის ცდაც დამარცხდა.

ადგილობრივი მცხოვრებლები კატეგორიული წინააღმდეგნი იყვნენ შეიარაღებული გამოსვლისა. გადაწყდა მიეღოთ ზომები ერთ-ერთი პოლკის განიარაღებისათვის. დაიწყო ვოლოგდაში ოფიცრების ჩხრეკა, დაპატიმრება. ესერებთან სამხედრო ორგანიზაციის თათბირზე ხშირად ხდებოდა გაუგებრობა. ესერების მონაწილეობით და ინგლისის მისიის წარმომადგენლის თანდასწრებით გადაწყდა შეჩერებით სამხედრო მუშაობა და გადაეყვანათ ძალები ფრონტის იქითა მხარეს. ჩქარა იგნატიევი 13 ოფიცრით, [illegible] განყოფილების უფროსის თანაშემწისა და სამობილიზაციო განყოფილების უფროსის თანხლებით, წამოვიდა არხანგელსკიდან.

კოლენკოს შეკითხვაზე იგნატიევი აცხადებს, რომ ვოლოგდაში უკვე დასახული იყო არხანგელსკის მთავრობის შემადგენლობა ჩაიკოვსკის, მასლოვის, სოროკინის და გუკოვსკის მონაწილეობით. ყველა მათგანი, გარდა სოროკინისა, შევიდნენ მთავრობაში, შემდეგ კი მთავრობაში შევიდა ლიხაჩიც და ორი კადეტი. გაუგებრობა ესერებთან წარმოიშვა სამხედრო მუშაობის ნიადაგზე, ესერები ჩიოდნენ, რომ სამხედრო მუშაობის მთელი ხელმძღვანელობა „აღორძინების კავშირის" ხელში იყო. მოკავშირეთა ფულები მიდიოდა კავშირის საშუალებით და რიგდებოდა მასლოვის მიერ.

იმის შემდეგ, რაც იგნატიევი ჩავიდა ვოლოგდაში, ფულის მიღება დაიწყო მან ინგლისის მისიის წარმომადგენლისაგან. იგნატიევი შემდეგ ამბობს: რომ ლიხაჩმა იცოდა აღორძინების კავშირის მუშაობის შესახებ და გამოაცხადა იგნატიევთან, როგორც აღორძინების კავშირის წარმომადგენელთან, ოფიცერთა მივლინების შესახებ მოსალაპარაკებლად.

გერმანიის ამბები

ბავარიის მეფე

მოსკოვი. 4 ივლისი, საფრანგეთის პრესის რადიოს ცნობით, ბავარიის ყოფილი კრონპრინცი რუპრეხტი გამოაცხადეს ბავარიის მეფედ.

ამნისტია

ნაუენი. 2 ივლისი, ამ დღეებში რეიხსტაგში შეიტანენ კანონპროექტს ამნისტიის შესახებ, მუშათა კავშირების განზრახვა გამოემართონ ფართო დემონსტრაციით ამ კანონპროექტის რესპუბლიკის თავდაცვის კანონ-პროექტის სასარგებლოდ სამშაბათი გამოცხადებული იქნება ნახევრად უქმედ.

პურის გადასახადის შესახებ კანონის მიღება

ნაუენი. 3 ივლისი, რეიხსტაგმა გამოიტანა კანონპროექტი ხორბლეულობის სავალდებულო გადასახადის შემოღების შესახებ 217 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 137-სა. კანონპროექტს მისცეს ხმა ორივე სოციალისტურმა პარტიებმა ცენტრმა. დემოკრატებმა და ბავარიის სახალხო პარტიის ერთმა ნაწილმა.

გარანტიათა კომისიაში

ბორდო. 3 ივლისი გარანტიათა კომისიის მუშაობა ბერლინში წარმატებით მიმდინარეობს. გაზ. „ტანის" ცნობით, საკითხი გერმანიის სახელმწიფო შემოსავლის კონტროლის შესახებ შეთანხმებულია. გასავლის საკითხიც ამ ცოტა ხანში იქნება შეთანხმებული. სახელმწიფო ბანკის დამოკიდებულება უზრუნველყოფილი იქნება.

რეპრესიები ნაციონალისტების წინააღმდეგ

ბორდო. 3 ივლისი, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა დეკრეტი ნაციონალისტების საზოგადოებების გაუქმების შესახებ.

რეპრესიები

ნაუენი, 6 ივლისი. პრუსიაში დაშლილია მემარჯვენეთა და რადიკალების რამდენიმე ორგანიზაცია.

გარდატეხის საზღვარი

ნაუენი, 4 ივლისი. გაზ. „დეილი ტელეგრაფის" სიტყვით, გერმანიამ მიაღწია გარდატეხის საზღვარს თავის შინაგან წესწყობილებაში. ვირტის კაბინეტმა გადასწყვიტა ძირშივე მოსპოს ყოველგვარი პოლიტიკური საფრთხე, რომელიც ემუქრება რესპუბლიკის არსებობას.

სოციალისტური პროფკავშირების მიერ ბერლინში გამოცხადებულ დემონსტრაციის გამო მთავრობის კანონპროექტების სასარგებლოდ, რომელიც შეეხება რესპუბლიკის შეურაცხყოფას და პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიას, პრუსიის მუშათა კავშირების გლეხთა პარტიის ლიდერმა, პრუსიის ყოფილმა პრემიერმა სტეგერვალდმა გამოაქვეყნა ამ პარტიის სახელით პროკლამაცია, რომელშიაც იგი მოითხოვს თავი შეიკავონ ამ დემონსტრაციისაგან, ვინაიდან გერმანია სულ უფრო და უფრო ღრმად გადავარდება უფსკრულში.—ყოველგვარ გაფიცვებისაგან და მუშაობის შეწყვეტისაგან.

მდგომარეობა ბერლინში.

ბორდო. 4 ივლისი, გაზ. „პტი პარიზიენის" ცნობით, მდგომარეობა ბერლინში [illegible] იმის გამო, რომ არ არის გამორკვეული დემოკრატების პოზიცია რესპუბლიკის დაცვის კანონ-პროექტისადმი. ლაპარაკობენ, რეიხსტაგის გაშვების შესაძლებლობაზე.

გელფერიხის გაქცევა.

კრაუდენი, 4 ივლისი. ნაციონალისტების ლიდერი ყოფილი მინისტრი გელფერიხი რეიხსტაგში გამართული შეხვედრის შემდეგ, რომლის დროსაც მას უწოდეს რატენაუს მკვლელი—გაიქცა ბერლინიდან, რამაც რა თქმა უნდა გადაარჩინა იგი სიკვდილს.

შეიარაღებული შეტაკების შესაძლებლობა.

ჰანნოვერი, 4 ივნისი. ძალიან ეშინიათ შეიარაღებულ შეტაკებისა ბერლინში მონარქისტებისა, მუშებსა და სხვათა შორის სამშაბათის მანიფესტაციის დროს.

გაბათილება.

ჰანნოვერი, 4 ივლისი. ბათილდება ველვისის პრესის ცნობა ბავარიაში მონარქისტულ გადატრიალებისა და ბერლინისაკენ მონარქისტული ჯარის მოძრაობის შესახებ.

დიდი ხანია საჭირო იყო.

კრაუდენი, 4 ივლისი. ბავარიის რესპუბლიკელებში მოითხოვენ სამეფო გვარეულობის ყველა წევრთა განდევნას გერმანიიდან.

გელფერიხის გაქცევის გამო.

მოსკოვი, 4 ივლისი. გელფერიხი გაქცევამ როგორც ჩანს გადაარჩინა სიკვდილს, რადგან მისი ძმის ბინაზე შევარდა 50 კაცისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც განზრახული ქონდა გაეცათ გელფერიხი (დამახინჯებულია) გელფერიხის ძმის ბინა დარბეულია.

გერმანიის ამბების შესახებ.

მოსკოვი, 4 ივლისი. გერმანიაში შედგენილია რესპუბლიკის დაცვის ტრიბუნალი, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფესიონალური მსაჯულები, კოალიციონური პარტიის და დამოუკიდებელ ნაციონალისტების წარმომადგენლები.

— რესპუბლიკის დაცვის კანონი შეაქვთ რეიხსტაგში. ამავე დროს შეაქვთ მემარცხენე პარტიის პატიმართა ამნისტიის პროექტი. პროფკავშირებს განზრახული აქვთ გამართონ კანონის სასარგებლოდ დემონსტრაცია და გამოაცხადონ ნახევარი დღით გაფიცვა.

— გამბურგში აღმოჩენილია ტერორისტების საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც ამზადებდა მასიურ თავდასხმებს. თუმცა მემარჯვენე ბურჟუაზიული პარტიები უარყოფითად უცქერიან ანტირესპუბლიკანელების საწინააღმდეგო რეპრესიების დაკანონების ცდას, გერმანიის ფედერაციის პრემიერ მინისტრების კონფერენცია პრინციპიალურად დაეთანხმა რესპუბლიკის დაცვის კანონის გამოცემას. მხოლოდ ბავარია ურყევად რჩება ოპოზიციაში.

ტაქტიკა.

ჰანოვერი, 24 ივნისი. რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე ნაციონალისტების ლიდერმა გელფერიხმა სასტიკათ გაილაშქრა გერმანიის მთავრობის წინააღმდეგ. მიუთითა რა ვისბადენის, პარიზისა და ლონდონის, გერმანიისა და ანტანტას შორის დადებულ შეთანხმებების გერმანულსა და ფრანგულს ტექსტების სხვადასხვაობაზე, გელფერიხმა განაცხადა, რომ ასეთი ხელშეკრულებების დადებისათვის გერმანიის მთავრობა ღირსი არის მიცემული ყოფილიყო სახელმწიფო სასამართლოში. შეასხა რა ქება მონარქიასა და ჰოჰენცოლერნებს, გელფერიხმა წამოიძახა: ანტანტა დაუსჯელი დარჩება მანამდე, სანამ გერმანია არ გადაიქცევა ხელახლათ იმპერიად. უკანასკნელი სიტყვები გელფერიხის სიტყვისა დაფარული იქმნა პროტესტების ხმაურობით მემარცხენეთა სკამებიდან. ზოგიერთს წრეებში ფიქრობენ, რომ ნაციონალისტების ლიდერის სასტიკ თავდასხმას მთავრობაზე შეეძლო გამოეწვია წაქეზება რატენაუს მოკვლაში.

განწყობილება რეიხსვერში.

ბორდო, 24 ივნისი. „ფორვერტსის" ფურცლებზედ შეიდემანი ამოწმებს რეიხსვერში (სახალხო ლაშქარში) მონარქიულ მოძრაობის გაძლიერებას. რომელსაც მფარველობს სამხედრო მინისტრი ჰესლერი.

გაერთიანებული ფრონტი რეაქციის წინააღმდეგ.

ბერლინი, 23 ივნისი. წინააღმდეგ დამოუკიდებელთა და მეუმრავლესე სოციალ-დემ. მეთაურების გადაწყვეტილებისა, გერმანიის მუშებმა მრავალს ადგილას აღადგინეს გაერთიანებული ფრონტი. ბადენში სამივე პარტიის მუშებმა გამართეს დემონსტრაციები მონარქიული ზრახვების წინააღმდეგ. აგრეთვე პლაუენსა და [illegible] მუშებმა გადასწყვიტეს წინააღმდეგ დამოუკიდებელთა და მეუმრავლესე ს.-დ. ლიდერების გადაწყვეტილებებისა, გაემართათ შეერთებული დემონსტრაციები. ხემნიცში მოხდა სისხლიანი შეტაკებანი სამივე პარტიის მუშებსა და [illegible] ორგანიზაციებს (მონარქისტულია) შორის. დაჭრილია 120 მუშა. ლეიპციგში მუშებმა გამოუშვეს მოწოდება, ყველა მუშათა ორგანიზაციების შეერთებული გამოსვლის შესახებ პო—ტეშოს დღესასწაულის მოწყობის წინააღმდეგ. შტეტინში გაერთიანებული გერმანიის პროფკავშირებმა დაადგინეს გამოაცხადონ საყოველთაო გაფიცვა. თუ 28 ივნის მოხდება მონარქისტული გამოსვლები. ლიუბენში კომუნისტებმა, ს.-დ. და დამოუკიდებლებმა გამართეს კონტრ-დემონსტრაციები მონარქისტების პროვოკაციების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, ტურინგიის ს. დემ. პარტიამ უარყო კომუნისტების წინადადება ებრძოლათ გაერთიანებული ფრონტით რეაქციის წინააღმდეგ.

ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ.

მოსკოვი 2 ივლისი. საკსონიის მთავრობამ განზრახვა აქვს შეუდგეს მუშათა პოლიციური რაზმების მოწყობას.

— გერმანიის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრს ამ ჟამად შეადგენს პროლეტარული ერთიანი ფრონტის შექმნა. პროფკავშირებმა და მუშათა სამმა პარტიამ შეიმუშავეს უმთავრესი მოთხოვნილებები წარმოადგინეს: სასტიკი დევნა მონარქიული ორგანიზაციებისა, დაუყოვნებლივი დაშლა ყველა ანტირესპუბლიკანური ორგანიზაციისა, [illegible] დაწესებულებათა გაწმენდა ანტირესპუბლიკური ელემენტებისაგან, ბერლინში განსაკუთრებული ტრიბუნალის დაარსება, მოწყობა საერთო-სამართლის მილიციისა, დამნაშავეთა ქონების კონფისკაცია. ამ განზრახული კანონის ვადათ ასახელებენ ორ წლიწადს. მოწოდება მოითხოვს ამ კანონპროექტის რეიხსტაგში შეტანას. მანამდის, სანამ პარლამენტი შეწყვეტდეს მუშაობას. მოწოდება მოითხოვს ყველა პოლიტიკურ ტუსაღებისათვის ამნისტიას გარდა უკიდურეს მემარჯვენეებისა. მოწოდებაში აგრეთვე არის რკინის გზელთა ამნისტიის მოთხოვნილებები. დამოუკიდებელთა ცეკას მოწოდებაში აღნიშნულია ერთიანი ფრონტის შენარჩუნების აუცილებლობა, რათა ბოლომდის იქნეს მიყვანილი პროლეტარიატის გაერთიანებისათვის წარმოებული ბრძოლა.

უცხოეთი

მართალია

ნაუენი. 3 ივლისი. ბრიტანეთის მუშათა ლიდერმა ვიჯვუდმა მუშათა კონგრესზე ედინბურგში განაცხადა, რომ მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების დადებაში, რომელიც არ იქნება ცნობილი მომავალში არც ერთი მუშათა მთავრობის მიერ.

ირლანდიაში.

კრაუდენი. 3 ივლისი. წაყვანილია ტყვედ გენერალი ოსკონერი და აჯანყებულთა 1500 კაცი. გადაყვანილია [illegible], მთავრობის ჯარების მიერ დაკავებულია აჯანყებულების მრავალი პუნქტები. უკანასკნელთა ხელში იმყოფება რამდენიმე სახლი და შენობები დუბლინში. საერთოდ შთაბეჭდილება ისეთია, რომ აჯანყება თითქმის ჩაქრობილია, ფორ-კორტში აფეთქების გამო დაინგრა ირლანდიის ერთი უძვირფასესი ბიბლიოთეკა.

ცეცხლის გაჩენა დუბლინში.

ბორდო. 3 ივლისი. ფორდ-კორტი იწვის, ცეცხლი ჯერ კიდევ არ არის ჩაქრობილი.

საკითხი ტანჟერის შესახებ.

ნაუენი. 3 ივლისი. გაზ. „ენდრა-ნსიჟანის" ცნობით, პუანკარე ლონდონში ყოფნის დროს ივლისის დამლევს ლოიდ-ჯორჯთან ერთად განიხილავს საკითხს ტანჟერის შესახებ.

საკითხი შანდუნის შესახებ.

ნაუენი. 3 ივლისი. პეკინში დაიწყო ჩინეთ-იაპონიის შორის მოლაპარაკება შანდუნის ჩინეთისათვის ყოველ მიზეზს გარეშე დაბრუნების შესახებ.

მართალია?

ბორდო. 3 ივლისი. რუმინიის მთავრობა უარყოფს, რომ ვრანგელის არმია გადაყვანილია ბულგარეთიდან და დობრუჯიდან მაკედონიაში სერბიაში და ფრაკიაში.

ირლანდიის ამბოხების შესახებ

მოსკოვი. 4 ივლისი, დუბლინის სასამართლოს შენობაში, რომელიც ეჭირათ რესპუბლიკანელებს, მოხდა საშინელი აფეთქება. დაიღუპა მთავრობის ჯარების 30 სალდათი და აუარებელი განძეულობა.

სამხრეთ ირლანდიის ზოგიერთ ადგილებში შეწყვეტილია რკ. გზით მიმოსვლა ლიმერიკის მახლობლად აფეთქებულია რკ. გზის ხიდი. ინგლისსა და სამხრეთ ირლანდიის შორის მიმოსვლა შეწყვეტილია.

— დე-ვალერამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც იგი გამოხატავს სიმპატიას აჯანყებულებისადმი.

ბრძოლა დუბლინში გრძელდება. რამდენიმე აჯანყებული რაზმი დანებდა, დანარჩენები მედგრად იცავენ პოზიციებს. ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში სროლაა. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს რამდენიმე დიდი სასტუმრო ქალაქში მოკლულია 40 და დაჭრილია 185 კაცი.

— აჯანყებულებმა ააფეთქეს რკინის გზის ხიდი დუბლინ-ბელფასტის მთავარ ხაზზე.

პოლონეთში

მოსკოვი 4 ივლისი, 28 ივნისს ღამით პილსუდსკიმ ხელი მოაწერა ახალი მთავრობის სიას. ძველი მინისტრებიდან წავიდნენ კონიკოვსკი, მიხალსკი, სკირმუნდი და ტესლავიჩი.

— გაზ. „ვარშავის კურიერის" მოწინავე წერილში გრაბსკი აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომელიც მოჰყვა სლივინსკის მთავრობის შედგენას. კრიზისის დასაწყისში ვარშავაში გაიმართა „სტრელეცების" ყრილობა გამოცხადებული იყო პილსუდსკის სამხედრო ორგანიზაციებიდან გაზრდილ ნევიაკევის მოწვევა. პრემიერი არის უეჭველი მარიონეტკა პილსუდსკის როლში.

— გაზ. „გაზეტა ვარშავსკა" სწერს სლივინსკის კაბინეტი არის ბელვედერის კარის საბჭო, რომელიც პილსუდსკის ჩვენებით მზად არის გაუგოს მას ფეხქვეშ სახელმწიფო და ხალხის ინტერესები.

— გაზ. „რეჩ პოსპოლიტა" აღნიშნავს, რომ დოლარის კურსმა ვარშავის ბირჟაზე კრიზისის დროს ათასი მარკით აიწია.

წითელი დროშის ქვეშ

ვარშავა. 22 ივნისი. საფრანგეთის რკინის გზელთა გაერთიანებულ ყრილობაზე დიდი ხმის უმრავლესობით 35.634—წინააღმდეგ 2,001 დაადგინეს შეუერთდნენ მოსკოვის პროფინტერნს. ამ გადაწყვეტილებას შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს ს.-ეტიენში განზრახულ შრომის უნიტარულ კონფედერაციის კონგრესის გადაწყვეტილებებზე. ეს კონფედერაცია ეხლამდე გვერდს უხვევდა წითელ პროფინტერთან შეერთებას.

ტფილისის ქალაქის მეორე საბჭოთა ყრილობა

(3 ივლისის სხდომა)

სახელმწიფო ოპერის დარბაზში 7 ს. 40 წ. ქალაქ ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა პირველი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ლ. დუმბაძემ გახსნა მეორე საბჭოს პირველი სხდომა, რასაც მხურვალე ტაშის ცემით შეხვდა დარბაზი. ორკესტრმა შეასრულა ინტერნაციონალი.

არჩევნების მსვლელობისა და შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ივანოვ კავკასკიმ. მან აღნიშნა ერთსულოვნება ამომრჩეველთა შორის საბჭოთა ძალაუფლების სასარგებლოდ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ტფილისის ქალ. საბჭოს მუშაობამ სამართლიანად დაიმსახურა ტფილისის მუშათა ფართო მასსებში სათანადო ნდობა, რაიც გამოიხატა არჩევნების შედეგებში. არჩევნებში მონაწილეთა საერთო პროცენტი უდრის 73 პროც. საბჭოს 50 წევრიდან კომუნისტი არის 86,5 პროც. დანარჩენები წევრებია მემარცხ. სოც.-ფედ.-ბი და ის უპარტიონი, რომელნიც თანაუგრძნობენ საბჭოთა მთავრობას.

კომფრაქციის სახელით ამხ. კახიანმა წინადადება შეიტანა საბჭოს თავმჯდომარეთ აირჩიოთ ამხ. ლ. დუმბაძე. წინადადება ერთხმად და საერთო ტაშის ცემით იქმნა მიღებული.

არჩეულ იქმნა ამხ. კახიანის წინადადებით აღმასრულებელი კომიტეტის 36 წევრი და 16 კანდიდატი.

წევრები: 1) მახარაძე ფილიპე, 2) ორჯონიკიძე კ. 3) ოკუჯავა მ. 4) ცინცაძე. კ 5) ქავთარაძე. 6) გიგიჭკორი. 7) დუმბაძე ლ. 8) კახიანი მ. 9) ჯულელი. 10) კიკნაძე ნ. 11) ოდილ ვაძე კ. 12) წივწივაძე ი. 13) კიკნაძე გ. 14) თოქთაქიშვილი, 15) ორახელაშვილი მამიამ. 16) ერუხაძე. 17) ქავთარაძე ლადო 18) ოქუაშვილი ა. 19) ივანოვ კავკასკი ვ. 20) გოლდმანი. 21) ახილავა. 22) კალანდაძე ბ. 23) იტრიევი. 24) კეორქიანი. 25) მელაძე. 26) ასრიბეკოვი. 27) ელი ტიგი ზადე. 28) ხოდკოვი. 29) არაჯანოვი. 30) ჩხეიძე მ. 31) ჯორბენაძე ი. 32) მელოვი. 33) ლისოვსკი. 34) ოკუჯავა ნ. 35) ლლონტი თ. 36) ტორონტაძე ე. (უკანასკნელი 2 მემარცხენე ფედერალისტები).

კანდიდატები: 1) ტუჯაშაძე. 2) ბაქრაძე 3) ხუნდაძე, 4) მგალობლიშვილი, 5) კორჩიტკოვი, 6) ბაქრაძე, 7) გაგუა, 8) არუსიანდრიტოვი, 9) ბადრიძე, 10) ეგიაზაროვი, 11) მარკაროვი, 12) ივანოვი, 13) ავენიროი, 14) გოგიტიშვილი, 15) ობინაძე, 16) ქ ნიშვილი. წარმოდგენილი სია ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა საქ. სოც. რეს. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძემ. იგი შეეხო ტფ. ქალაქის საბჭოს პოლიტიკურს მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მისი ღირებულება არ განისაზღვრება მარტო ტფილისით, არც მარტო საქართველოთი, არც ამიერ კავკასიით. ტფილისის და მისი საბჭოს პოლიტიკური მნიშვნელობა დიდია აღმოსავლეთისათვის და ამიტომ მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მუშათა კლასი.

ამხ. მახარაძე აღნიშნავს ხაზ გასმით არჩევნებში მონაწილეთა პროპორციას და დაასკვნის: მუშათა კლასის გაცილებით მეტი პროცენტი ღებულობდა არჩევნებში მონაწილეობას; მეორეს რაიონი, რომელშიაც უმთავრესად ინტელიგენცია და ჩინოვნიკობაა, არჩევნებში შედარებით ნაკლებ მონაწილეობას ღებს. ეს ფაქტი მუშათა კლასს და მის ხელმძღვანელ საბჭოთა ძალა-უფლებას უთითებს იმას, თუ სად არიან კიდევ დარჩენილები მისი მტრები.

ინსინუაციებსა და ცილისწამებებს თეთრგვარდიელთა ბანაკში ამ არჩევნების შესახებ რაღა თქმა უნდა ექნება ადგილი—ამბობს ორატორი,— მაგრამ უსაფუძვლო ჭორებით ვერავინ ვერაფერს დაგვაკლებს. ჩვენ გვქონდა თავისუფალი არჩევნები იმათთვის, ვინც იზიარებს საბჭოთა ძალა-უფლებას, განურჩევლად პარტიისა და მიმართულებისა.

ჩვენთან ერთად არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას ღებდენ მემარცხენე სოც. ფედერალისტები, რომელნიც მტკიცედ და გულწრფელად ემსახურებიან რევოლუციის საქმეს. ჩვენთან ერთად თავისუფალ არჩევნებით სარგებლობდა უპარტიონიც, რომელნიც არ არიან მტერნი არსებული მუშათა სახელმწიფოსი. მაგრამ არჩევნების თავისუფლებით ვერ ისარგებლებდენ და არც სარგებლობდენ კონტრ-რევოლუციონური ელემენტები, რომელნიც იმაზე ოცნებობენ მხოლოდ, თუ როდის ჩასცემენ მახვილს მუშათა კლასის რევოლუციონურს შემოქმედებას.

არჩეულია 48 ქალი, ეს იმას ნიშნავს; რომ ყველაზე უფრო დაჩაგრული და ჩამორჩენილი ნაწილი პროლეტარიატის იღვიძებს და საერთო ბრძოლაში ებმება. მესამე საბჭო იმედია მეტს მოგვცემს ქალ დეპუტატებს.

მეტი ყურადღება ორატორმა შეაჩერა საბჭოს დეპუტატების მოვალეობის და პასუხისმგებლობის გათვალისწინებაზე. მიუთითა ტფილისის საბჭოს მუშაობაზე წარსულში და კვალ და კვალ აღნიშნა მეურნეობითი აღმშენებლობის მიმართულება, რომლითაც უნდა წარიმართოს საბჭოს მომავალი მუშაობა.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვას დარბაზი შეხვდა ტაშით და ოვაციებით, რომლის შემდეგ ორკესტრთან ერთად შესრულებულ იქმნა ინტერნაციონალი და კრებაც დაიხურა.

სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი. შაბათს 8 ივლისს შესდგება ახლად არჩეული აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა პირველი სხდომა.

ახალი ამბები

— **წამლების მომარაგება.** სანამ თითონ მოაწყობდეს საქიმიო შრატის დამზადებას ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი, მიღებულია ზომები დიფტერიტის, მენინგიტის, ინფლუენციის და სხვა ეპიდემიურ სენთა საწინაალმდეგო შრატის შესასყიდად მომავალ შემოდგომის სეზონისათვის.

— **საბინაო საქმე.** საორგანიზაციო ბიურომ კოოპერატიულ საბინაო ამხანაგობისამ, შეიმუშავა კომუნალურ საამშენებლო ბინის პროექტი და წარუდგინა ტფილისის აღმასკომს განსახილველად და დასამტკიცებლად.

— **ცენტროშენის** საორგანიზაციო ბიურომ შეიმუშავა პროექტი წესდებისა თავისი ორგანიზაციის და გზავნის დასამტკიცებლად ტფილისის აღმასკომში.

— **ტფილისის ბირჟა.** კურსი უცხოეთის ვალიუტისა 4 ივლ. (ათას მან.)

ოსმალური ქ-დ. ლირა —— 185
გირვან. სტერლ. ჩეკი ——1280
დოლარი (ქაღალ.) ——— 280

სამხატვ. ქრონიკა

— **სახალხო მუსიკის საღამო.** ხუთშაბათს, 6 ივლისს, რკინის გზელთა თეატრ „მუშტაიდ“-ში გაიმართება ორიგინალური სახალხო მუსიკის საღამო მიხეილ კავსაძის მომღერალთა გუნდის მიერ. წაკითხულ იქნება ლექცია-მოხსენება სახალხო მუსიკის მნიშვნელობის შესახებ. შესრულებულ იქნება სახალხო სიმღერები პატარა სცენებით ფანდურა-ფერხულ-თამაშ-ცეკვით. შემოსავალი მოხმარდება გუნდის ფონდს.

შეცდომის გასწორება

მოწინავეში „სინამდვილეს ვერ გაექცევ“ ბოლოს არის გაშვებული კორექტურული შეცდომა, სწერია: „შეიძლება არ გახდეს აუცილებელი და საჭირო მეორე ქვეყნის იმავე კლასისათვისაც“, უნდა იყოს: არ შეიძლება არ გახდეს და სხვა.

პარტიაში

დღეს, საღამოს 6 საათზე, პარტიის ცენტრალურ კლუბში დანიშნულია ახალგაზრდათა კავშირის გამგეობის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

პარასკევს, ივლისის 7-ს საღამოს 7 საათზე „ტრიბუნას“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

არმაზის ნანგრევებზე

საქართველოს გაუშლია დროშა ატლასის.
ეთერად სჩანს წამებული ვაზის ჯვარი,—თმით...
ემუქრება ლურჯ სამყაროს დრო შავ ათლად ის,
მუდმივ დევნით დადაფნული ნაზის გარითმვით.

*

ძველ ნანგრევებს ახალისებს ელვის მახვილი,
აქნეული თუჯის მკლავით, აწლაც, არმაზის;
ახალ გმირთა ანასროლი ელის ძახილი.—
შერკინებას ურბის ვიღაც.—სადღაც არმად ზის.

*

მზის კოცნაში ცეცხლსა ყრიან თვალნი ალმასის-
დაჰქრის რაში, გადავარდნად, ფრთა-მალ ლაშარი;
სანიმუშოდ გადაღება ვალნი ალმა ცის...
უკვდავ ხმებით ლახავს შვებად მთა-ლალს ლაშქარი.

სეზმან ერთაწმინდელი.

საჭიროა ყურადღება!

ჯერ კიდევ საქართველოს რევკომმა გასცა ცირკულიარი ყველა კომისარიატებისადმი შესახებ ქართული-სახელმწიფო ენის ხმარების აუცილებლობისა და რომ საპასუხისმგებლო ადგილებზე უთუოდ ქართული ენის მცოდნენი ინიშნებოდის. ასეთია განკარგულება, მაგრამ სამწუხაროდ ძალიან ხშირია მისი დარღვევის შემთხვევები, დეკრეტი ნაკლებად სრულდება ცხოვრებაში.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად საზიანო შედეგები მოაქვს ხალხისათვის ამ ანორმალობას, ქართული ენის აბუჩად აგდებას, რაც იმავე დროს ეჭვს გარეშეა. სცემს მთავრობის პრესტიჟ, რადგან მისი დეკრეტები და დადგენილებანი რჩება მხოლოდ ქაღალდზე და ცხოვრებაში არ ტარდება.

ტფილისის მაზრის აღმასკომის საფინანსო განყოფილება საუცხოვო ნიმუშია დაწესებულებისა, სადაც ქართული ენა სრულიად არ არის ხმარებაში. იქ შემსვლელი თავს იგრძნობს რუსულ დაწესებულებაში. შეკითხვაზე, თუ რად არ არის საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე, ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელმაც ქართული ენა იცის (ასეთი ამ განყოფილებაში მგონი მხოლოდ ერთია), ასეთ პასუხს იძლევა: „მე ნაბრძანები მაქვს საქმეები ვაწარმოო რუსულ ენაზე; როგორც მიბრძანებენ, ისე მოვიქცევი. თუ მიბრძანებენ საქმეს ვაწარმოებ ფრანგულ ენაზედაც“. როგორ გავიგოთ ეს განცხადება?! შესაძლებელია იყოს ისეთი ბრძანება, რომელიც აშკარად არღვევს მთავრობის დეკრეტს?!. ან ვის შეუძლია, ყოველ შემთხვევაში, ბრძანება თანამშრომლისათვის, გარდა მისი ხელმძღვანელისა, განყოფილების გამგისა! მერე სათავეში ხომ უნდა იყოს ქართული ენის მცოდნე, თანახმად დეკრეტისა!

იმავე აღმასკომში სტატისტიკურ ბიუროში რუსული ენის შემოღებისათვის განყოფილების გამგე გადაყვანილ იქმნა: მდგომარეობას, რომელიც შექმნილ იქნა სტატისტიკურ ბიუროში, ყურადღება მიაქცია როგორც შინაგან საქმეთა კომისარიატმა, აგრეთვე ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ.

რესპუბლიკის დაწესებულებებში მინიმუმამდე არის შტატი დაყვანილი.

საკმაო რიცხვი გამოცდილი და მომზადებულ პირებისა, რომელთა გამოყენება შეიძლება, ყოველ შემთხვევაში მაზრის დაწესებულებებში, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს სოფელთან, რომლისათვის რუსული ენა გაუგებარია. რუსული ენის ხმარება, რომელიც მას არ ესმის, იწვევს უკმაყოფილებას და აშორებს მას მთავრობიდან, სახელმწიფო ორგანოებიდან.

ეს ნაკლი აღმასკომისა უსათუოდ გამოსწორებულ უნდა იქნეს, ამას უნდა მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

ნ. გ.

მუშათა უბნები

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ და კომუნ. მეურნეობის გამგემ ილ. წივწივაძემ მოხსენება გააკეთა მუშათა უბნების გაშენებაზე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმში, რაზედაც მოწვეული იყო სახელმწიფო, საზოგადოებრივ და პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ტფილისი სრულიად გაჭედილია მცხოვრებლებით და მეტი შემჭიდროება ბინებისა ყოვლად შეუძლებელია. მუშები კი ძრიელ ცუდ პირობებში იმყოფებიან ბინის მხრივ და ამიტომ საჭიროა შევუდგეთ აღმშენებლობას მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ადგილები სახლების ასაშენებლად საკმარისია, ბაღების გაშენებაც შეიძლება სახლებთან. საჭირო მასალის შოვნაც შესაძლებელია. მაგ. ხე ტყე შეიძლება ვიშოვნოთ 50 პროც. უფრო იაფად, ვიდრე ბაზარზეა, აგური კი სულ მუქთადაც შეიძლება ვიშოვოთ, ოღონდ სახელმწიფომ უნდა გასცეს მაზუთი ან ქვანახშირი მათ გამოსაწვავად. თითო სახლი ჯდება აღმასკომის საამშენებლო განყოფილების პროექტით 500 მილიონი მანეთი. სახლი უნდა ააშენოს მუშებმა და შეადგენდეს მათ საკუთრებას. აშენებლობის ხელმძღვანელობა უნდა იკისროს რომელიმე ორგანიზაციამ და აქტიური მონაწილეობა მიიღოს აგრეთვე ქალ. აღმასკომმა და საქ. პროფ. კავშირთა საბჭომ. პრაქტიკულად კი უნდა განახორციელოს ეს საქმე საბინაო კოოპერატივმა.

მოხსენებამ გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამხ. ელბაქიანმა განაცხადა, რომ მან როცა მიიღო ეს პროექტი, მოიწვია ფართე თათბირი პროფკავშირთა წარმომადგენლებზე, ამშენებელთა კავშირის ინჟენერ-ტეხნიკოსთა ბიუროსი, ტეხნიკური კომისიისა და საბინაო-საამშენებლო ამხანაგობისა. თათბირმა მოიწონა ქალ. აღმასკომის ინიციატივა ამ საქმეში, მაგრამ უარყო კერძო სახლების მშენებლობა კოოპერატიულის სასარგებლოდ. შემდეგ აღნიშნა, რომ აღმასკომის პროექტი ვერ მოგვცემს პრაქტიკულ შედეგებს, სანამ სახელმწიფო არ აღმოუჩენს ფართე დახმარებას ფინანსებით და მასალებით და სანამ არ მოეწყობა საიპოტეკო ბანკები.

ზოგი ორატორები მხარს უჭერენ კოოპერატიულ მშენებლობას.

საპასუხო სიტყვაში ამხ. წივწივაძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით კოოპერატიული და კოლექტიური მშენებლობა არავითარ ნაყოფს არ გამოიღებს და დააგვიანებს მუშათა სახლების აშენებას. ერთად-ერთი გამოსავალი საბინაო კრიზისისაგან არის მოუწოდოთ მუშათა მასსებს ამ საქმისაკენო.

პრეზიდიუმმა მიიღო ამხ. ბახუტოვის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

1) საბინაო კრიზისის გასანელებლად მიზანშეწონილად იქნას ცნობილი მუშათა უბნების აშენების დაწყება;

2) მუშათა უბნების აშენება განხორციელდეს საბინაო კოოპერატივის საშუალებით, რომელიც შესდგება დაქირავებულ პირთაგან.

3) აუცილებლად იქნას ცნობილი დახმარება სახელმწიფოს მხრივ, როგორც სუბსიდიით, ისე მასალის მიცემით ნისიად და

4) აუცილებლად იქნას აგრეთვე ცნობილი, რომ სათანადო სამეურნეო ორგანოებმა მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბინაო აღმშენებლობაში, როგორც იურიდიულმა პირებმა.

რადიო კავშირი საბჭოთა რუსეთში

ამ ჟამად მოსკოვში მუშაობს ორი ძლიერი რადიო სადგური ხოდინის [illegible] აგებული 1914 წ. შაბოლოვის, აგებული 1920 წ. შაბოლოვის სადგური 10 კილოუატიანია და უნდა მოეწყოს ევროპის უძლიერეს რადიო სადგურთა ჯგუფს. შაბოლოვის და ხოდინის რადიოსადგურების საშუალებით გაბმულია კავშირი რუსეთსა და მთელ დასავლეთ ევროპას შორის. მომავალ საამშენებლო სეზონში ხოდინის რადიო სადგური გადაკეთებული იქნება გაუწყვეტელ ვიბრაციის პრინციპზე, როგორც შაბოლოვისაა. აქ განზრახულია დასდგან მანქანა ვიბრაციის უმაღლესი სიხშირისა, 150 კილოუატის ძალიანი, რომლის კონსტრუქცია ეკუთვნის პროფ. ვოლოგდინს. ამის შემდეგ ხოდინის სადგური მუდმივ კავშირს გაბამს ამერიკასთან. მთელი ტეხნიკური მოწყობილობა რესპუბლიკის რადიო სადგურებისა გაკეთებულია რუსეთის მასალისაგან და რუსული ძალებით.

მოკლე დროში მოსკოვში ამუშავდება კიდევ ერთი ძლიერი რადიო სადგური ლამპიანი გადაცემით ინჟ. ბონჩ-ბრუევიჩის კონსტრუქციისა. ეს სადგური რადიო დეპეშის გარდა, მიიღებს და გადასცემს ლაპარაკსაც. ამ ახალი რადიო-ტელეფონის სადგურის საშუალებით შესაძლებელი იქნება უმავთულო ტელეფონით ლაპარაკი სულ ცოტა 2000 ვერსის მანძილზე ისე, რომ რადიო ტელეფონოგრამების მიღება შეეძლება ყველა რადიო სადგურებს. ჰფიქრობენ, რომ დალაპარაკება შესაძლებელი იქნება ბერლინთან, ვენასთან და პარიზთანაც კი.

მოსკოვს აქვს კიდევ ერთი მიმღები რადიო სადგური ლიუბერცში. ამ ჟამად ხდება ამ სადგურის რეორგანიზაცია რომლის დასრულების შემდეგ შაბოლოვის და ხოდინის სადგურებს შეეძლებათ მეტი დეპეშების მიღება, ვინაიდან განთავისუფლდებიან რუსეთიდან დეპეშების გადაცემისაგან.

ამ სადგურებს გარდა არის კიდევ ძლიერი სადგური, 100 კილოუატიანი ბავშთა სოფელში პეტროგრადთან, რომელიც რადიოს აწვდის ევროპის ყველა ქვეყნებს. ამ სადგურზე მუშაობს გენერატორი პროფ. ჩერნიშევის კონსტრუქციისა. მთელ რუსეთში არის 300 მდე რადიო სადგურები, რომლებიც ღებულობენ რადიოს მოსკოვიდან და კავშირი აქვთ ურთიერთ შორის. ახლა ნიკოლაევსკთან განუწყვეტელი უმავთულო კავშირის დასამყარებლად ეწყობა მოსაშუალე რადიო სადგური ეკატერინბურგში. გარდა ამისა მოსაშუალე რადიო სადგურების საშუალებით ახლო მომავალში გამართული იქნება რადიო-კავშირი მოსკოვ—ტაშკენტსა და მოსკოვ—ბაქოს შუა, სარატოვ—ასტრახანის რადიო სადგურით. ამავე დროს ხარკოვის რადიო სადგურის გაძლიერებით უზრუნველყოფილება კავშირი უკრაინასა დასავლეთ ევროპასთან. პროვინციის რადიო სადგურები უმთავრესად მხოლოდ ღებულობენ დეპეშებს. მათგან მხოლოდ 30 გადასცემს მოსკოვს.

რადიო-ტელეგრაფის მიდის განვითარებას რუსეთში აფერხებს უმთავრესად უფულობა. მასალა რადიო სადგურების მოსაწყობად რუსეთში აუარებელია. არის აგრეთვე საკმაო ტეხნიკური კადრიც. სხვათა შორის უფულობის გამო შეწყვეტილია ბოგოროდსკის სადგურის აგება, რომელიც უნდა ყოფილიყო 500 კილოუატიანი. ეს სადგური რომ აშენებულიყო თავისუფლად დაამყარებდა კავშირს ოკეანეს იქითა ქვეყნებთან.

რადიო კავშირი ევროპის სახელმწიფოებში ყოველდღე იზრდება. ყველაზე ძლიერი რადიო სადგური, 1000 კილოუატიანი, არის ბორდოში; შემდეგ არის 400 კილოუატიანი სადგური ნაუენში, ბერლინის ახლო. ეხლა ასრულებენ უზარმაზარი რადიო სადგურის შენებას ნიუ-იორკის ახლო; მას შეეძლება ერთდროულად აწარმოვოს 12 რადიო გადაცემა. რუსეთის სადგურებიდან, შაბოლოვის სადგური ღებულობს რადიოს ინგლისიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და იტალიიდან. ხოდინის კი ღებულობს ვენიდან და აწვდის მას მთელ ინფორმაციას რუსეთიდან.

სარადიოტელეფონო კავშირს დიდი მომავალი აქვს. ამერიკელი და საერთაშორისო დაწესებულებათა განვითარებით მთავარი რადიო ტელეფონის სადგური ადვილი შესაძლებელი გახდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებებთან და კერძო ბინებთანაც. კერძო ბინაზე დასადგმელი რადიო-აპარატი დაჯდება ახლანდელ ფასობაზედ 50 000 000 მანეთი, ანუ დაახლოვებით 500 მანეთი ოქროთი.

(„Известия“).

[illegible]

№ 13

ახალგაზრდათა ხმა

№ 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობა—მომავალი

ახალგაზრდობა—მომავალია. „წარსულ დღეთა მოგონებითა" და რეაქციონური ქამით ახალგაზრდობის დიდხნობით გატაცება არ შეიძლება. მემარჯვენე სოციალისტთა მჭიდრო კონტაქტი ევროპის კაპიტალის მაგნატებთან და რეაქციის ბრძოლის გამაგრებისათვის მუშაობა საკმაო თავდებია იმისათვის, რომ ახალგაზრდობა თანდათან დაშორდეს კონტრ-რევოლიუციის აპოლოგეტთ და რევოლიუციის რიგებში ჩადგეს.

ქართველი ახალგაზრდობა უნდა დარწმუნდეს, რომ საქართველოს ხსნა და გამარჯვება რევოლიუციაშია. გარეშე ამისა არ არის გზა, არ არის გამოსავალი. კაპიტალიზმმა პატარა ერები სისხლიანი ბორკილებით შეამკო და ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილა.

ეს ელემენტარი დებულება, გამტკიცებული ისტორიითა და ფაქტებით, კიდევ არ არის ზოგისათვის საკმაო იმის ნათელსაყოფად, რომ საქართველოს თავისუფლება წარმოუდგენელია გარეშე რევოლიუციისა. ასეთი მდგომარეობა რა თქმა უნდა წარმავალია. რამდენათაც ახალგაზრდობა გაერკვევა პოლიტიკურ მოვლენების ბუნებაში, იმდენათ იგი აუცილებლად დაშორდება რეაქციის სამყაროს და რევოლიუციის რიგებში დადგომით დადგება საქართველოს თავისუფლების რიგებშიაც.

ქართველი ახალგაზრდობა მოვალეა ადრე და მალე შეუდგეს მოვლენების კრიტიკულად შეფასებას, იგი მოვალეა კბილი გაუსინჯოს იმ პოლიტიკურ პარტიის „ეროვნულ პოლიტიკას" რომელიც ბოიკოტითა და საბოტაჟით იბრძვის მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ახალგაზრდობა—მომავალია. წარსულით იგი ვერ ისაზრდოებს.

ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხი

5

ახალგაზ. ბრძოლა საქართველოში არ ჩამორჩენილა და არც უნდა ჩამორჩეს ევროპიელ ქვეყნების ახალგაზრდათა ბრძოლას. თუ ევროპაში დიდი ბრძოლა განიცადა ახალგაზრდობამ და წარმოშვა გმირები, წამებული სოციალიზმისათვის და მისთვის მებრძოლნი, ქარ. ახალგაზრდობის სისხლიც მრავლად დაინთხა ჩვენი ერის მიწა-წყალზე, არა იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებისათვის სხვა ერთა მიმართ, არამედ თავის არსებობის დასაცავად.

რევოლიუციის ფრონტზე თუ ჰოლანდიის ახალგაზრდობამ გაისტუმრა ანდრეი ვან—ამსტელი, ისპანიის ახალგაზრდობამ ტომას მეაზე, ერუსითსამ ციგლერი, გლეხსონი, იტალიისამ მარიტონი, გერმანიისამ კარლოს ლიბკნეხტი, საქართველოს ახალგაზრდობამაც დიდი მსხვერპლი გაიღო, კიდევ მეტი, ვიდრე უცხოელებმა და ამიტომაც შეუძლებელია ჩვენ ახალგაზრდათა გმირთა სახელების აღნიშვნა.

ეხლა ჩვენთვის უფრო ნათელია ახალგაზრდათა მოძრაობა, მისი როლი მუშათა კლასის მოძრაობაში, ჩვენი ახალგაზრდობისა და საქართველოს ობიექტურ პირობების ბუნება და ამიტომ უფრო ნათლად შეიძლება ახალგაზრდათა ორგანიზაციის საკითხის დასმა.

როგორი უნდა იყოს ახალგაზრდათა ორგანიზაციის სტრუქტურა?

ჩვენ ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ სოციალ-პოლიტიკური მიმართულება ქვეყნის თუ კლასის პოლიტიკის მწარმოებელი. განსაზღვრული მიზნის მატარებელი წრე საზოგადოებისა განსაზღვრულ პარტიის გავლენის ქვეშ სდგას და მაშასადამე მთელი საზოგადოებრივ ძალების მოქმედებათა კონცენტრში აღარ რჩება თავისუფალი ადგილი, რაიმე სპეციალური პოლიტიკისა, რომელიც ახალგაზრდობამ უნდა აწარმოოს. ამიტომ ახალგაზრდათა ორგანიზაცია არ შეიძლება დამოუკიდებელი ორგანიზაცია იყოს პოლიტიკური პარტიებისაგან.

მაგრამ ახალგაზრდობა მით განსხვავდება პარტიის წევრებისაგან, რომ მისთვის საჭიროა მომზადება, პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად კულტურული მუშაობა, ამიტომ ახალგაზრდათა ორგანიზაცია ავტონომიურ ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს. იგი პოლიტიკურად იქნება პარტიასთან, კულტურულ მუშაობას აწარმოებს დამოუკიდებლად. დღეს ასეთი ფორმა ახალგაზრდათა ორგანიზაციებისა მიღებულია ყველა პოლიტიკური პარტიისა და ახალგაზრდობისაგან. ახალგაზრდათა კომუნისტური ინტერნაციონალი მჭიდრო კონტაქტშია კომინტერნთან, რომელთა შორის იგზავნება წარმომადგენელნი ყრილობებზე და სხვა, მაგრამ ახალგაზრდათა ინტერნაციონალი საკუთარი ძალებით აწარმოებს ორგანიზაციულ და კულტურულ მუშაობას.

ასეთი ფორმა ახალგაზრდათა ორგანიზაციისა მეტად მიზანშეწონილია და სასარგებლო. ამიტომ ჩვენი ახალგაზრდათა ორგანიზაციებიც ასეთი ხასიათის უნდა იყოს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ახალგაზრდათა ბეჭდვითი ორგანოს საჭიროება. დღეს არა მარტო ევროპის ქვეყნებში, არამედ ამერიკაში, აზიაში და აფრიკაშიაც ახალგაზრდობას თავისი ბეჭდვითი ორგანოები აქვს, რომელზედაც იგი იწვრთნება, ღებულობს სულიერ საზრდოს, ეჩვევა ინტელექტუალურ მუშაობას.

ჩვენ მიზანს ახალგაზრდათა ორნიზაციის საკითხის გარჩევა შეადგენდა, რომელიც მოკლეთ ჩვენ განვიხილეთ კიდეც.

ეჭვს გარეშეა კიდევ ბევრის თქმა შეიძლება ახალგ. ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ერთ მოხსენებაში ამ საკითხის მთელი სიღრმე-სიფართოვით განხილვა შეუძლებელია.

მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ პარტია დიდი ენერგიით უნდა შეუდგეს ახალგაზრდათა ორგანიზაციის დაარსებას, მუშაობას ახალგაზრდობაში და იგი დაინახავს, რომ ქართველ ახალგაზრდობას შეუძლია ბრძოლა საკაცობრიო იდეალებისათვის, მისი პოტენციური ენერგია ამუშავდება ქარ. ერისა და მშრომელთა კეთილდღეობისა და იგი სოციალისტური და ფედერალისტური დროშით გაეშურება ბრძოლის მოედნებზედ და იგემებს ან სიკვდილსა და ან გამარჯვებას.

ახალგაზრდათა როლი ჩვენ გვაგონებს ქრისტეფორე კოლუმბს.

როდესაც ქრისტეფორე კოლუმბმა გადალახა უსაზღვრო სივრცე ოკეანესი, თავს გადიხადა ათასი ბრძოლა ბუნების ძალებთან, იგი მიუახლოვდა ამერიკის კონტინენტს, მაგრამ უეცრად ცაზედ ღრუბლები აიგრაგნა, იელვა, გავარდა მეხი და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია. საშინელი ქარიშხალის სიმძლავრემ სასიკვდილოდ დაატრიალა ხომალდის მოძრაობა და იგი ოკეანეს ძირისაკენ ნელნელა დაეშვა. მეზღვაურნი შეშინდნენ და სადარაჯოებზე მუშაობის ნაცვლად ტირილსა და გოდებას მიეცნენ. მაგრამ კოლუმბი, თავგანწირული მაძიებელი **ახალი ქვეყნისა**, შემგნები თავისი მაღალი მოვალეობისა, მთელი საშინელი ღამის განმავლობაში თვით ხელმძღვანელობდა ხომალდს და ბოლოს მოულოდნელად იგი შესდგა ამერიკის სანაპიროზე, სადაც სიხარულით აცახცახებულმა წამოიძახა—აღსრულდა, აღსრულდაო.

თუ საერთოთ მუშათა კლასი კოლუმბისებური თავგანწირვით მიექანება **ახალი ქვეყნისაკენ**, რევოლიუციური ახალგაზრდობა მთელი თავისი სულის-კვეთებით, თავისი შინაგანი ბუნებითა და იდეალებით **ახალი ქვეყნისაკენ** ისწრაფვის.

რევოლიუციის ხომალდს დიდი ბრძოლა უხდება რეაქციის ქარიშხალთან ისე, როგორც კოლუმბის ხომალდს დიდი ბრძოლა შეხვდა ბუნების სტიქიასთან. მაგრამ თუ სუსტი ნებისყოფის და დაქანცვის გამო „ჟამსა განსაცდელისა" მუშათა კლასი ტირილსა და გოდებას მიეცემა, რევოლიუციური ახალგაზრდა კოლუმბის მსგავსად, თითონ აიღებს ხელში საჭეს და რევოლიუციის გემს სისწორით მიმართავს თავისუფლების ნავთსადგურისაკენ. თავგანწირული ბრძოლით იგი დაძლევს რეაქციის ოკეანეს ქარიშხალს და თავისუფლების ლამაზს კორტოხზედ დაარჭობს ჯვარედინად გადანასკულ ეროვნულ სოცილისტურ დროშას, როგორც ემბლემას ერთა და მშრომელთა თავისუფლებისას შემდეგ იგი ალტაცებით მიმართავს მსოფლიოს, მიულოცავს განაწამები იდეის განაღდებას და კოლუმბის სიტყვებით გადასძახებს მას აღსრულდა, აღსრულდაო.

სერ. ამაღლობელი

ახალი „ეროვნული გმირები"

ვინც პოლიტიკურ პარტიებს რამდენიმეთ მაინც გაცნობია ჩვენში და ვინც ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენში მომქმედ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ „მუშათა პარტიას", მისთვის ნათელი იქნება ის თუ, როგორ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებდენ ისინი და როგორი რისხვით უმასპინძლდებოდენ ყველა მათ, ვინც კი გაბედავდა და რაიმეს იტყოდა ქართველი ერის უფლებების შესახებ. ყველას ახსოვს ის, თუ როგორი დიდ აქტათ აღიარა ყველა ეროვნულად მოაზროვნე პარტიებმა, როდესაც სოციალ დემოკრატებმა იკადრეს საქართველოს სოციალისტურ პარტიათ თავის გამოცხადება. მაგრამ კითხვა იბადება, რამ აიძულა ისინი, რომ ეროვნულ ლოზუნგებით გამოსულიყვენ ოქტომბრის რუსეთის რევოლიუციის შემდეგ? იმ დროს, როდესაც თვით ბატონობდენ რუსეთში, ფინლიანდიას და სხვებს წერეთელ, კერენსკი და მათი დამქაშნი რუსეთის „შტიკების" სიძლიერეზე მიუთითებდენ და მთელი ერის მოთხოვნილებას აბუჩათ იგდებდენ. სხვას რომ თავი დავანებოთ გავიხსენოთ მათი მოღვაწეობა როგორც რევოლიუციის შემდეგ, აგრეთვე რევოლიუციამდისაც ჩვენში, რაც სათანადოთ ახასიათებს მათ. გავიხსენოთ მათი ბრძოლა ყველა მათ წინააღმდეგ ვინც ერისა და სოციალიზმის ერთათ ხსნებას გაბედავდა. გავიხსენოთ მათ მიერ გამოგონილი სახელწოდებები და მეთოდი თავიანთი ბრძოლისა საქართველოს სოც. ფედ. პარტიის წინააღმდეგ.

არჩილ ჯორჯაძე, ქართველი ერის დიდებულ მოაზროვნე, ერისა და სოციალიზმისათვის მებრძოლს, როგორ უმასპინძლდებოდენ, ვინ აწამა და ჯვარზე აცვა ის, თუ არა კოსმოპოლიტურათ მოაზროვნე მენშევიკებმა! განა ეს სადავოა ვინმესათვის? არჩილის შრომა ერისა და სოციალიზმის მცნებათა შეერთებისათვის იქმნა მათ მიერ უსვინდისოთ მონათლული, ვითომ ეს სოციალისტური სახე მას ესაჭიროებოდა მუშების მოსატყუებლათ, რომ ვითომ ის იცავდა ფეოდალურ წყობილებას და ქართველ ერის სხვა ერთან შოვინისტურათ განწყობისათვის. ვის არ ახსოვს ქუთაისში მათი ღვაწლი რევოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც აგზავნიდენ აგენტებს აფორიაქებულ ჯარში იმისათვის, რომ გაეწიათ „პროპაგანდა" ჩვენს წინააღმდეგ, როგორც ვითომ რუსეთის მოწინააღმდეგე, ფეოდალურ წყობილების, რუსეთისაგან ჩამოშორების მქადაგებლები. ვისი წყალობით იყო ჩვენი ეროვნული დროშების დახევა მის ფეხ ქვეშ გათელვა თუ არა მათის წყალობით და როდესაც ჩვენებმა ამის შესახებ გაზ. „მეგობარში" დასწერეს წერილი, რომ წვირიანმა ხელებმა დახიეს წმინდათა წმინდა ეროვნულ სოციალისტური დროშა, ეს გაზეთი მათ ხელით დაქონდათ და უკითხავდენ ხალხს: აი შეხედეთ თქვენს მატყუარებს წვირიან ხელს ესე იგი თქვენ მუშებო, მშრომელნო, როგორ გლანძღავენო. მახსოვს, როდესაც ქუთაისში მათი აგენტების მიერ მოტყუებული ჯარის კაცებმა, როდესაც ჩვენს ბიუროს დარბევას უპირებდენ, გაიქცა ჩვენი ამხ. ევგენი გეგეჭკორთან იმისათვის, რომ მას დაეწყნარებია ხალხი და ხელი შეეშალა დარბევისათვის. მან მიმართა—ნუ დაწერთ იმას, რისთვისაც ეგ მოგდითო, ე. ი. ნუ ლაპარაკობთ ერის უფლებებზეო.

აი! მათი, პროპაგანდის წყალობა და მათი [illegible] სიტყვები, დროშების დახევა და ბიუროების დარბევა. ეს ხშირი მოვლენა იყო მათი წყობილებისა, იმისათვის, რომ გვეწერა ზედ ავტონომია ფედერაცია და მსოფლიო რევოლიუცია.

და გადახედეთ ასეთ ხალხს ოქტომბრის რუსეთის რევოლიუციის შემდეგ, რომელმაც მათ გამოაცალათ ნიადაგი რუსეთში ბატონობის, სცვლიან ტონს საქართველოში შემოხიზნულნი პეტროგრადის პროსპექტების მოყვარულნი და იწყებენ საქართველოში ეროვნულ მატყუარა პოლიტიკის წარმოებას, რომ თუ თვალის პერსპექტივა არ დაეკარგათ. გახადეს საქართველო იმპერიალისტური ჯარების თავშესაფრათ და იწვევენ ალექსეევსა და დენიკინს, რომ ძმურათ ხელი-ხელ ჩაკიდებული „ერთ წერტილში ურტყან" ჩაქრონ რუსეთის მშრომელი ხალხის მისწრაფება. დაეკარგათ ბატონობა რუსეთში, შესცვალეს მისი ქებაც გინებით, და დღეს ეს ვაჭრაბატონები ეროვნულ ლოზუნგებით სპეკულიანტობენ, ეს სირცხვილისაგან გარეცხილი პოლიტიკოსები.

ვიცით თქვენი მიზანი, თუ რატომ დაგჭირდათ ეგრე მაგრათ ეროვნულ დროშის ხელის ჩაჭიდება, ეს ყველაფერი პოლიტიკური ხრიკია, ამით გინდათ ფონს გახვიდეთ, რადგანაც აღარავის სჯერა თქვენი პირველ ყოფილი „იდეია სოციალისტობისა". თქვენი სოციალისტობა ყველასათვის ნათელია, რაც გამოიხატა ლოიდ ჯორჯისა და პუანკარეს ლაქიობაში. ვიცით ყველა თქვენი ხრიკები და თქვენც [illegible] ქართველი მშრომელნი მივიწყებულ არქივებში. საბჭოთა მთავრობის მოქმედება მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ მათ არკვევთ და სინამდვილეს აცნობთ.

მენშევიკების „ეროვნული გმირობა" ცნობილი იყო და არის, მაგრამ ეხლა საინტერესოა ვიცოდეთ მათი ამყოლი მემარჯვენე ფედერალისტები რომ მოკიდებიან კუდში გზა აბნეულ ხალხს და რა აქვთ მათთან საერთო? ისინი ყველა კი არ იყვნენ კოსმოპოლიტიკები, სადაც გაძღებიან—იქ არის მათი სამშობლო, მაგრამ რა საერთო აქვთ მემარჯვენე ფედერალისტებს ასეთ ხალხთან ასეთ პოლიტიკურ მრწამსის მქონეთთან? ისინი ხომ ეროვნულ სოციალისტური პარტიის წევრებათ თვლიან თავს, ხომ ქართველ ერთან უნდა ყოფილიყვნენ ჭირში და ლხინში, ისინი ხომ აქტიურ სოციალისტებათ გამოდიოდენ, რომლებიც (ასე ვსთქვათ ვითომ) მიილტვოდენ მსოფლიო რევოლიუციისაკენ უსამართლობის მოსასპობათ, რადგანაც გრწამდათ მის გარეშე ჩვენისთანა პატარა ერის განთავისუფლება ჩაგვრისა და მონობისაგან შეუძლებელი იყო, ნუ თუ ისინიც მენშევიკებთან პუანკარესა და ლოიდ ჯორჯის მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ?

ყველაფერი ნათელია დღეს და უფრო ადრე რომ წასულიყავით ის იჯობდა ქართველი ერის საქმიანობისათვის. წადით და წაიღეთ ოქრო, ქართველი ერის სიმდიდრე, რაც გაიჩვენიათ ერსაც და სოციალიზმსაც, მაგრამ დაინახავს ყოველივე ამას ქართველი ერის ის ნაწილი, რომელიც ჯერ გაურკვეველია და ის რევოლიუციონერი მოტყუებული ახალგაზრდობაც მოშორდება ჭირებს და საკითხს უფრო სერიოზულათ დააყენებს.

რაც შეეხება ქართველ ერს, ის თქვენ დაგაფასებსთ და დაგდებსთ სათანადო [illegible], და თქვენ მიერ მოტყუებული მშრომელნი და ცოცხალი რევოლიუციონური ახალგაზრდობა თანდათან ერკვევა თქვენს ცნობაში და მონახავს თავის სწორ გზას, საბოლოოდ არ მიატოვებს თავის რიგებს და დროზე გაასამართლებს თქვენებრ გმირებს.

მიხ. კავსაძის კონცერტის გამო

30 ივნისს, ქართულ კლუბის შენობაში უნდა გამართულიყო მიხ. კავსაძის კონცერტი, რომელიც ხალხის დაუსწრებლობის გამო გადაიდვა.

ვისაც სმენია ქართველისაგან ქება-დიდება ქართული ხელოვნებისა, საყვედურები, რომ მას სათანადოთ ვერ იცავენ, ვისაც არა ერთხელ გაუგონია: „გვსპობენ", „ვიღუპებით", „ყველაფერს, რაც ქართულია სდევნიან" და ვინც ერთსა და იმავე დროს იხილა ქართულ კლუბის შენობაში ლოტოს გავლენით ღრმად ჩაფიქრებული სახეები აფორიაქებული ქართველისა და საკონცერტო დარბაზი, სადაც გამზადებული იყო ორმოცზე მეტი ქულაჯებში გამოწყობილი მომღერალი და რომელსაც მხოლოდ თოთხმეტი დამსწრე ამშვენებდა, ის იტყვის, უნდა მართლაც მოისპოს არა კულტურა, არამედ ის ხალხი, რომელიც ყველა გზაჯვარედინზე სიტყვების კორიანტელს აყენებს და საქმით კი არ არის პატივის მცემელი თავის კულტურისა. ქართველი საზოგადოების გულგრილობა იმდენად [illegible], რამდენადაც მიხ. კავსაძე ერთგული დარაჯია ხელოვნებისა. დაწვრილებით კავსაძის მოღვაწეობის აღწერას არ შევუდგებით—ეს ისტორიის საქმეა.

მხოლოდ ვიტყვით გაკვრით, რომ ეს კაცი პატივსაცემია არა მარტო იმით, რომ ის ნიჭიერი მომღერალია, არამედ იმითაც, რომ ის შესანიშნავი მასწავლებელია, კარგი ორგანიზატორი და თავისი საქმით ზედმიწევნით დაინტერესებული. თხუთმეტი წლიწადია დარაჯათ უდგას ამ საქმეს, საზოგადო ინტერესები მაღლა დააყენა კერძოზე და ბევრის გაკეთებაც შესძლო. ქართული სიმღერა-გალობის დაუმახინჯებლად შენახვაში მიხ. კავსაძემ დიდი როლი ითამაშა, ისეთი ხალხის საშუალებით, რომელსაც არა აქვს დრო კონსერვატორიაში სიარულის, როიალთან ჯდომის, სახელდობრ: ტრამვაის მუშების, მეპურეების, სტუდენტობისა და სხვა მშრომელი ელემენტების დახმარებით მიხ. კავსაძემ შესძლო ფაქიზად შეენახა სიმღერები „თამარ ქალო" „ზამთარიო" „ქართველო ხელი ხმალს იკარ" და მრავალი სხვები. მიუხედავად იმისა, რომ არასოდეს არც ერთი მთავრობიდან დახმარება არ მიუღია, მრავალი ხელის შემშლელი პირობები კი გზაზე ეღობებოდა, მაინც შეუშინებლად მიიწევდა წინ და პირნათლად ასრულებდა თავის საყვარელ საქმეს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას მუშაობა შეეჩერებინოს და თუმცა 30 ივნისს თავისი არ მოსვლით, კონცერტზე არ დასწრებით ქართველმა საზოგადოებამ გამოიჩინა სრული მოუმზადებლობა, გულგრილობა და უკულტურობა, იმედი გვაქვს ეს მოვლენა ნიჭიერ მომღერალს გულს არ გაუტეხს და ჩვეულებრივის ხალისით გააგრძელებს თავისი ძვირფასი საქმის გაძღოლას.

ჩვენი გულწრფელი სურვილი გამარჯვებისა ხელოვნების ერთგულ დარაჯს მიხ. კავსაძეს და მის გუნდს, და სირცხვილი მეტიჩარა მოლაყბეებს, რომლებიც სიტყვით ყველაფერ ქართულს პატივს სცემენ, აფასებენ და საქმით კი არა:—ნამდვილ ქართულ სიმღერის მოსმენაზე მაღლა აყენებენ ლოტოს თამაშსა და ქუჩების ტკეპნას.

ხ. ქეიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ტირაჟი 700
საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
ნ. დ. ს. ც.